

აბაშის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო  
კომისიის სხდომის  
ოქმი №6

ქ. აბაშა, 2018 წლის 4 მაისი

სხდომის ადგილი: აბაშის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ადმინისტრაციული შენობა  
(ქ. აბაშა, უ. კაჭარავას №1).

სხდომა დაიწყო: 10:00 საათზე.

სხდომას თავმჯდომარეობდა : აბაშის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-  
საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე გოდერძი კუპრავა.

სხდომას ესწრებოდნენ კომისიის წევრები: ზურაბ შუბლაძე, კოკი ჩაჩავა, ბენია პიტავა,  
ელვარდი ნოდია და ზაზა გაბელაია.

სხდომას არ ესწრებოდნენ კომისიის წევრები: შოთა ჭანტურაია და მერაბ მელია.

აბაშის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარემ  
კომისიის წევრებს გააცნო სხდომის დღის წესრიგი და დააყენა კენჭისყრაზე.

დღის წესრიგი

1. „აბაშის მუნიციპალიტეტის მერისთვის ხელშეკრულების დადებაზე, რომლის  
ღირებულება მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის გადასახდელების 5%-ს აღემატება,  
თანხმობის მიცემის შესახებ.

მომხს: გ. კუპრავა

კომისიამ კენჭი უყარა დღის წესრიგს ( მომხრე - 6; წინააღმდეგი -0) და განაგრძო  
მუშაობა წარმოდგენილი დღის წესრიგის შესაბამისად.

## მოისმინეს:

1. „აბაშის მუნიციპალიტეტის მერისთვის ხელშეკრულების დადებაზე, რომლის ღირებულება მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის გადასახდელების 5%-ს აღემატება, თანხმობის მიცემის შესახებ.

მომხს: გ. კუპრავა

მომხსენებელმა კომისიის წევრებს გააცნო განკარგულების პროექტი „აბაშის მუნიციპალიტეტის მერისთვის ხელშეკრულების დადებაზე, რომლის ღირებულება მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის გადასახდელების 5%-ს აღემატება, თანხმობის მიცემის შესახებ.

აზრი გამოთქვას: კ.ჩაჩავამ, ზ.გაბელაიამ და ბ.პიტავამ.

კომისიის წევრებმა იმსჯელეს აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით და ჩატარებული კენჭისყრის შედეგად (მომხრე -6; წინააღმდეგი -0) აბაშის მუნიციპალიტეტის საფინანსო-საბიუჯეტო კომისიამ

### დაადგინა :

მიეცეს თანხმობა აბაშის მუნიციპალიტეტის მერს საქართველოს მთავრობის 2018 წლის 18 იანვრის N136 განკარგულებით განსაზღვრული ქ.აბაშის ცენტრში ზვიად გამსახურდიასა და მერაბ კოსტავას სახელობის პარკის კეთილმოწყობის სამუშაოების შესრულების ხელშეკრულების დადებაზე, რომლის ღირებულება აღემატება მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის გადასახდელების 5%-ს და შეადგენს 1740367 ლარს დღგ-ს გათვალისწინებით. აღნიშნული საკითხი წარედგინოს საკრებულოს ბიუროს და განსახილველად შეიტანოს საკრებულოს რიგგარეშე სხდომის დღის წესრიგში.

ამით დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხი ამოწურულ იქნა და კომისიის სხდომა დახურულად გამოცხადდა 10:30 საათზე.

აბაშის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო

კომისიის თავმჯდომარე:

გ. კუპრავა